

"ნაციონალური მოძრაობის" მოღადატეობრივი საქმიანობის მიმართ მოკრძალებული პოზიცია გვეკავა"



ირაკლი კობახიძე ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს ეხმიანება და აცხადებს, რომ "ნაციონალური მოძრაობა" 2012 წლიდან ყველა ღონეს ხმარობს, რომ საქართველომ პრაგმატულ პოლიტიკას გადაუხვიოს და 11 წლის წინანდელ რეალობაში დაგვაბრუნოს.

პარლამენტის ყოფილი თავჯდომარის განცხადებით, 2012 წლამდე, "ნაციონალური მოძრაობა" ახორციელებდა ავანტურისტულ პოლიტიკას, რომელმაც რუსეთის ფედერაციას საშუალება მისცა, ფუნდამენტურად გაეძლიერებინა პოზიციები საქართველოში და შესაბამისად, სამხრეთ კავკასიაში.

როგორც კობახიძე წერს, "ნაციონალური მოძრაობის" ავანტურისტული პოლიტიკის შედეგად, რუსეთმა 2004-12 წლებში მიიღო მაქსიმალური სარგებელი, რაც მას საქართველოსთან მიმართებით შეიძლებოდა მიეღო.

„ამ პოლიტიკის შედეგი იყო ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტის – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სრული ოკუპაცია და მათი ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის ფედერაციის მიერ, რამდენიმე ასეული დაღუპული ქართველი სამხედრო და სამოქალაქო პირი, რამდენიმე ათეული ათასი დევნიდი, ოკუპირებული რეგიონების ფართომასშტაბიანი მიდრეკილება, ევროკავშირისა და ნატოში გაწევრიანების კუთხით საქართველოს პოზიციების შესუსტება,

საქართველოს ეკონომიკური დასუსტება.

შედეგების გათვარისწინებით, სიტყვა „ავანტურისტული“ არის იმ პოლიტიკის ყველაზე რბილი შეფასება, რომელსაც “ნაციონალური მოძრაობა” ახორციელებდა. თავისი არსით, “ნაციონალური მოძრაობის” პოლიტიკა იყო მოღალატეობრივი და ეფუძნებოდა ამ პოლიტიკური ძარის მთავარ თვისებას – მათ არ უყვართ სამშობლო და ყოველთვის ებრძოდნენ და დღესაც ებრძვიან იმას, რასაც სიტყვა სამშობლო გამოხატავს: დანყებური სარწმუნოებით, დამთავრებული მამუდით!

ირაკლი კობახიძის ამრით, ხერისუფრებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, ნაციონალური მოძრაობის ავანტურისტული და მოღალატეობრივი პოლიტიკა პრაგმატული პოლიტიკით შეიცვალა. ამ პოლიტიკის მთავარი მხარდამჭერი დასავლეთი იყო.

„ქართული ოცნების“ პრაგმატულ პოლიტიკას აქვს მკაფიო წითელი ხაზები: დეოკუპაცია და დასავლური ინტეგრაცია არის პრინციპული მიზნები, რომლებსაც ხერისუფრება პრინციპულად არ დათმობს. თუმცა, სახელმწიფოს შიდა მტერს, კორონა N5-ს, არც ახლა სძინავს. “ნაციონალური მოძრაობა” 2012 წლიდან ყველა ღონეს ხმარობს, რომ საქართველომ პრაგმატულ პოლიტიკას გადაუხვიოს და 11 წლის წინანდელ რეალობაში დაგვაბრუნოს.

მეთოდები ამ შემთხვევაშიც იგივეა – აგრესიული რიტორიკა, რუსოფობიის გაღვივება და რუსეთის ხერისუფრების დიდებების მიმართ მდარე ფორმით გამოხატული პერსონალური შეურაცხყოფა. “ნაციონალური” პრაგმატულ პოლიტიკას უპირისპირდებიან ყველა საერთაშორისო ფორმატში, სადაც კი მათ ამის საშუალება აქვთ. ყველა რეზოლუციის პროექტი, რომელიც გასული რამდენიმე წლის განმავლობაში “ნაციონალური მოძრაობის” ერთმა თუ მეორე განშტოებამ რუსეთთან დაკავშირებით პარლამენტში წარადგინა, იყო თავისი არსით პროვოკაციული და სწორედ რუსეთის წინქვიდზე ასხამდა წყარს.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის თქმით, პროვოკაციის მორიგი გამოვლინება იყო “ნაციონალური” მოძრაობის მიერ წინასწარ

მომზადებული პასუხი პარლამენტში 20 ივნისს დაშვებულ შეცდომაზე, რომელიც ბუსტად იმგვარად იყო დაგეგმილი, რომ მაქსიმალური ზიანი მიღგომოდა სახელმწიფოს.

“ნაციონალები” რუსეთის წისქვირზე ასხამენ წყარს რეგულარული პროვოკაციური აქციებით საოკუპაციო ხაზთან, რომლებსაც ისინი რუსეთთან საექვოდ დაკავშირებული პირების თაოსნობით აწყობენ. რუსოფობია, რომლის გაღვივებასაც ეს პოლიტიკური ძაღა ქართულ საზოგადოებაში ცდილობს, იმაზე ბევრად ნაკლები სიბინძურე არაა, ვიდრე რუსეთის ხელისუფლების მიერ ქართველების რუსეთიდან გაძევება 2008 წლის ომის შემდეგ. ამ ყველაფრის მიზეზი იგივეა – არ უყვართ სამშობლო, მიზანი იგივეა – სურთ მისი დასუსტება!

მთელი ამ წლების განმავლობაში, ხელისუფლებასა და საზოგადოებას “ნაციონალური მოძრაობის” მოღალატეობრივი საქმიანობის მიმართ ერთგვარად მოკრძალებული პოზიცია გვეკავა. გვერიდებოდა ამ ყველაფრის გაშიშვლება და მეტიც, თავდაცვით პოზიციაში ვდგებოდით, როდესაც “ნაციონალური მოძრაობა” პრაგმატურ პოლიტიკას უპირისპირდებოდა და სახელმწიფოს მტრობდა. თითქოს, გვეშინოდა, პროპაგანდისტური მანქანის მეშვეობით ჩვენთვის არ მოეწებებინათ პრორუსის იარღიცი, რომელიც მათ თავად ბუნებრივად ამშვენებს.

“რუსთავი 2”-ის ეთერში მოწყობილი პროვოკაცია იყო მხოლოდ გავრძელება იმ მტრული საქმიანობისა, რომელსაც “ნაციონალური მოძრაობა” ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ეწევა. ამდენად, ამ უმძიმესი პროვოკაციის ერთ ჟურნალისტზე ან თუნდაც, მხოლოდ პარტიურ ტერევინობაზე გადაბრლება მხოლოდ თავის მოტყუება იქნებოდა”- წერს კობახიძე.